



## სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### განკარგულება

N 6  
18/02/2021

6-0-4-202102181028



მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ქ. სიღნაღში აღმაშებლის ქ.#7 მდებარე შენობა-ნაგებობის, 50 კვ.მ ( ს/კ 56.14.41.335) პირდაპირი წესით სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების 22-ე მუხლისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 10 თებერვლის # 05/580 წერილის საფუძველზე, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერს გიორგი გოგილაშვილს ქ.სიღნაღში, აღმაშენებლის ქუჩა N7-ში მდებარე შენობა-ნაგებობის 50 კვ.მ ფართი (საკ.კოდი 56.14.41.335) პირდაპირი წესით სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) გადასცეს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას მასში სოციალური ცენტრის განთავსების მიზნით, 2 წლის ვადით.
2. დაევალოს სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერს გიორგი გოგილაშვილს მოქმედი კანონმდებლობით უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმება.
3. სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების დაინტერესებული მხარისათვის გადაგზავნა.
4. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.
5. ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ. სიღნაღი ცოტნე დადიანის ქ. #15) განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

ილია ხატიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე